ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საკონკურსო კომისიის

განცხადება

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით, აცხადებს ღია კონკურსს **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.**

კანდიდატებმა ღია კონკურსში მონაწილეობის მიზნით, ელექტრონული განაცხადი და კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი დოკუმენტები უნდა წარადგინონ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge).

განცხადებები მიიღება 2022 წლის 7 მარტიდან 11 მარტის ჩათვლით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანსიაზე განაცხადის გაკეთების დროს კანდიდატმა შესაბამის ველებში უნდა ატვირთოს:

ა) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) სარეკომენდაციო წერილი და მიუთითოს მინიმუმ 1 რეკომენდატორი (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია).

ღია კონკურსის ეტაპებია:

- **განცხადების გადარჩევა**
- **გასაუბრება**

კანდიდატების შეფასება მოხდება თანამდებობისთვის შესაბამისი როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული უნარების მიხედვით;

კანდიდატი, რომელიც განაცხადის გადარჩევის საფუძველზე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს, ასევე, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარმოუდგენლობის / არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას.

კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობის გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა. კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.